პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 12 ნოემბერი, 1943 წ. № 234 (6859). ფასი 20 კაპ.

გამარჯვებას უბრძოლველად და დაუძაბავად ვერ მოიპოვებ. მისი მოპოვება ბრძოლით ხდება. ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე.

ი. სტალინი

დიდი სტალინის მოხსენება მოგვიწოდებს ახალი საგმირო საქმეებისაკენ!

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით, ღრმა მღელვარების გრძნობით საზეიმო ვითარებაში ისმენდა მშობლიური ბელადის დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავზე. ბელადს უსმენდა მთელი მსოფლიო. და როგორც ყოველთვის, სტალინის ნათელი, მართალი სიტყვები ღრმად ჩასწვდა გულში საბჭოთა ადამიანებს, ახალი ძალა და ენერგია შემატა მათ გმირულ შრომაში ფრონტის დასახმარებლად, უმაგალითო ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად.

დიდი ბელადის მოხსენებამ და ბრძანებამ მთელ საბჭოთა ხალხს კიდევ უფრო გაუძლიერა მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენა. გასული წლის შედეგების ბრძნული სტალინური ანალიზი, როგორც მარადკაშკაშა შუქურა გზას გვინათებს ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

ხალხმრავალ მიტინგებზე, რომლებიც უმაგალითო პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა მთელ საბჭოთა საქართველოში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, მაღაროებსა და სახტებში, რკინიგზებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მშრომელები მხურვალედ მიესალმნენ დიდ ბელადს, იკისრეს ახალი ვალდებულებები გმირი წითელი არმიისათვის სულ უფრო მეტი პროდუქციის გამოსაშვებად და პირობა დასდვეს გააათკეკეონ ენერგია ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის.

თავის მოხსენებასა და ბრძანებაში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ზურგის მუშაკებს—მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის პატრიოტიზმს. **„წითელი არმიის წარმატებები შეუძლებელი იქნებოდა,**—სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — **რომ არა ყოფილიყო ხალხის მხარდაჭერა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ფაბრიკებსა და ქარხნებში, სახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტზე და ხოფლის მეურნეობაში“.** საყვარელი ბელადის მიერ მოცემულმა ამ მაღალმა შეფასებამ ზურგის მუშაკები ახალი შრომითი მაძაკობისათვის აღფრთოვანა. უბრალოდ, მაგრამ მკაფიოდ და ღრმად გამოხატეს ეს აზრი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა ნიშნოსანმა კერესელიძემ და საქვაბე საამქროს სტახანოველმა ი. სელიხოვმა.

დიდი ბელადის მოხსენების პასუხად ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, დაიწყო მძლავრი საწარმოო აღმავლობა.

ორდენოსანმა მემანქანემ, მატარებელთა ლუნინური ტარების ოსტატმა ნ. ყიფიანმა საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის მიტინგზე განაცხადა, რომ იგი, მშობლიური ბელადის მოხსენებით შთაგონებული, კისრულობს ორთქლმავლის გარეცხვათაშორისო ურემონტო გარბენა 100.000 კილომეტრიდან გაზარდოს 150.000 კილომეტრამდე.

კოლმეურნეთა შრომითი აღფრთოვანება მკაფიო გამოხატულებას პოულობს მათ მიერ ნაკისრ ახალ ვალდებულებებში. მახარაძის რაიონის ნოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ბელადის მოხსენების პასუხად იკისრეს 20 ნოემბრამდე სავსებით დაამთავრონ ციტრუსოვან ნარგავთა მომზადება ზამთრისათვის. სტახანოველმა კოლმეურნეებმა იკისრეს გეგმების 200—230 პროცენტით შესრულება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მოწვეულ მიტინგზე აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ განაცხადა: — დიდმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ხალხის და კერძოდ საბჭოთა ინტელიგენციის მუშაობას. ეს მაღალი შეფასება გვავალებს კიდევ უფრო დაძაბულად ვიმუშაოთ, მოვახმაროთ ჩვენს გმირ წითელ არმიას და ხალხს მთელი ჩვენი ცოდნა, რათა მოვაახლოვოთ მტრის საბოლოო განადგურება.

ამხანაგ სტალინის მოხსენებამ და ბრძანებამ მთელი საბჭოთა ხალხი აღაფრთოვანა ახალი შრომითი და საგმირო საქმეებისათვის. მეტალურგებმა და ტანკმშენებლებმა, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. დიდია სტალინური სიტყვების ძალა. ბრძენი ბელადის მოხსენება ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოგვიწოდებს!

წითელი არმია გამანადგურებლად ურტყამს მტერს, დასავლეთისაკენ მიერეკება და სპობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. წითელი არმიის გმირულ ბრძოლას ხელმძღვანელობს და წარმართავს საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი სტალინი. ხალხის უსაზღვრო სიხარული ერთვის შშობლიური ბელადისადმი ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოსულ მისალმებებს, რომლებშიაც საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად გამოსთქვამენ აღფრთოვანებას დიდი სტალინის სუფოროვის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოების გამო.

გასული წელი გარდატეხის წელი იყო. წითელმა არმიამ უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა. მაგრამ ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ საბჭოთა ადამიანებს არ შეჰფერით მიღწეულით დაკმაყოფილება, თვითდამშვიდება. **„გამარჯვებას უბრძოლველად და დაუძაბავად ვერ მოიპოვებ,**—გვაფრთხილებს ამხანაგი სტალინი. — **მისი მოპოვება ბრძოლით ხდება, ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე“.**

დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები ბრძენი ბელადის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის!

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალი საგმირო საქმეებით უპასუხებენ დიდი **სტალინის** ისტორიულ მოხსენებას!

ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება და ბრძანება მთელი ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების დიადი პროგრამაა!

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის აგიტ-კოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ს. ამაშუკელი (დგას) საამქროთა აგიტატორებს უკითხავს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** 1943 წლის 6 ნოემბრის მოხსენებას.

ფოტო რ. აკოფოვისა

ბელადის მოხსენებას ახალი წარმატებებით უპასუხებენ

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის საამქროებში შესდგა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენებისადმი.

საშტამპო საამქროს მუშა-მოსამსახურეებს ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება № 309 გააცნო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. ცქიტიშვილმა. დიდი ბელადის მოხსენებას მიტინგის მონაწილენი უსაზღვრო სიხარულით შეხვდნენ. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სტახანოველი ამხ. ზაბოლოტნიკოვა, რომელმაც განაცხადა: ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება დიდად გამამხნევებელია და ახალ უდიდეს შრომითს ენერგიას გვმატებს. დიდმა ბელადმა ჩვენს მუშაობას ზურგში მაღალი შეფასება მისცა. ჩვენი ვალია კიდევ უფრო თავდადებით ვიმუშაოთ ფრონტის დასახმარებლად.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში საშტამპო საამქროს კოლექტივმა ვალდებულება აიღო ისკრა 105 პროცენტით შეასრულოს თვიური დავალება.

ასევე წარმატებით ჩატარდა ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი მიძღვნილი მიტინგები პირველ, მეორე და მესამე შემკერავ კორპუსებში, საგამომკერავო და სხვ. საამქროებში. დიდი ბელადის მოხსენებასა და ბრძანებას ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაკები ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ.

ახალი შრომითი აღფრთოვანება

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის ისტორიულმა მოხსენებამ გორის რაიონის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შორის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ბელადის მოხსენების საპასუხოდ რაიონის მუშა-მოსამსახურენი და კოლმეურნეები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა მიტინგი გორის კამოს სახელობის საკონსერვო ქარხანაში. ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის მოხსენება და 7 ნოემბრის ბრძანება მიტინგს გააცნო ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. კ. ნინუამ. მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი მუშები. მურაბის მხარშავმა ლიზა ასკილაშვილმა განაცხადა, რომ ბელადის ისტორიულმა მოხსენებამ მასში ახალი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია. იგი პირობას იძლევა ნოემბრის გეგმა შეასრულოს 200 პროცენტით. სტახანოველმა მუშამ სოფიო კარავიაკოვსკაიამ იკისრა ნოემბრის გეგმის 200 პროცენტით შესრულება, კ. გოლიომოვამ — 150 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად იკისრა კონსერვების დამზადებისა და ბოსტნეულის გახმობის წლიური გეგმა შეასრულოს 25 ნოემბრისათვის.

* * *

რაიონის კოლმეურნეობებში უდიდესი ინტერესით ეცნობიან ამხანაგ სტალინის მოხსენებას, მიტინგებზე გამოსული კოლმეურნეები პირობას იძლევიან იმუშაონ კიდევ უფრო უკეთესად, რათა ფრონტსა და ქვეყანას მისცენ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით ჩატარდა მიტინგები ატენის, მეჯვრისხევის, ქვემო და ზემო ნიქოზის, ქღეშის, კარალეთის, ხელთუბნის, ოედიოწმინდის, ხიდისთავის და სხვა კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს სწრაფად და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ საშემოდგომო ხვნა. კარალეთელმა კოლმეურნეებმა იკისრეს საშემოდგომო თესვა დაამთავრონ 15 ნოემბრამდე, ხოლო ბზარალად ხვნა—1 დეკემბრამდე. საუკეთესოდ მოაწყონ პირუტყვის გამოზამთრება და აქედანვე ფართო მუშაობა გაშალონ მომავალი წლის უხვი მოსავლის მისაღებად.

ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება

ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისი, 11 ნოემბერი. დიდი აღფრთოვანებით ეცნობიან ქუთაისის მშრომელები ამხანაგ სტალინის მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავზე.

— ამხანაგ სტალინის მოხსენება და მისი დაჯილდოება სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით,—განაცხადა ბაქრაძის სახელობის აბრეშუმკომბინატში გამართულ მიტინგზე სტახანოველმა ქალმა ამხ. ლორიამ, —კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენში რწმენას, რომ ახლოვდება მტერზე საბოლოო გამარჯვების ჟამი.

აბრეშუმკომბინატის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება წლიური გეგმა შეასრულოს 30 დეკემბრისათვის, მიაღწიოს 400.000 მანეთის ეკონომიას, 15 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით. (საქდესი).

ჩვენი გამარჯვებისათვის!

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებში და საწარმოებში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანებისადმი.

რაიონის მშრომელები, დიდი ბელადის მოხსენებითა და ბრძანებით აღფრთოვანებულნი, ახალ საბრძოლო ვალდებულებებს კისრულობენ.

სოფ. ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს ციტრუსების გამოზამთრებისათვის ყველა საძუშაო ათი დღით ადრე დაამთავრონ, ვადამდე შეასრულონ ჩაის პლანტაციების შებარღვა, უდანაკარგოდ აიღონ ციტრუსების, ტუნგოს და სხვა ჯულტურების მოსავალი, ნაცვლად 8.000 ათასისა სახელმწიფოს ჩააბარონ 8.100 ათასი ცალი ციტრუსი, მომავალ წელს თავდაცვის ფონდში დასთესონ 12 ჰექტარი მარცვლეული, წითელ არმიას გამოუზარდონ 5 ცხენი. ახალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე სოფ. შრომის, ნერიის, დღაბზუს, კონჭკათის, გურიანთის და რაიონის სხვა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ლ. ლოლაძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

11 ნოემბრის განმავლობაში **უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები** შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრები **ქალაქი რადომეშლი, ბრუსილოვი, კორნინი,** აგრეთვე დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **უნინი, ხანევი, კუზარი, ზარუდნე, მაკალევიჩი, ვეკირინი, მეშერიჩიკა, ვიშევიჩი, ველიკაია რაჩა, კიჩკირი, ბლინიცა, ბერიოზოვკა, მინიციკი, კოზიევკა, ცარიოვკა, ვოლიტაშევკა, კოზეროვო, ოზერიანი, ველიკიე ბოლიკი, სუშანკა, ბელკი, ოხნაჩა** და **რკინიგზის სადგური ტეტერევი, ჩერნიავკა.**

ძერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელ რაიონებში პლაცდარმის გასაფართოებლად, დაიკავეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები და თვალსაჩინოდ გაუუმჯობესეს პოზიციები.

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მდინარე **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები **ნადვინი, გოლნაროვ კოდელი, ბროვოიკი, იასტრებკა, ნოვაია კუზნეჩნაია, რუჩაევკა.**

ქალაქ ნეველის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა.

10 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 87 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საჰაერო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 30 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა მოძრავმა წაწილებმა ბრძოლით გადალახეს მდინარე ტეტერევი და დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი რადომეშლი. ხელთ ვიგდეთ დიდი დაცვა და ტყვეები. სხვა უბანზე 5 შენაერთის ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ტანკებთან და მოტოქვეითი ჯართან. მოსპობილია გერმანელთა 42 ტანკი და 800-მდე ჰიტლერელი. გასტეხეს რა მტრის წინააღმდეგობა, ჩვენმა მებრძოლებმა წინ წაიწიეს, დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრები ბრუსილოვი, კორნინი, აგრეთვე მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. ჩვენი ტანკისტები სწრაფად შეიჭრნენ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ერთ სოფელში და გაანადგურეს გერმანელთა სატანკო დივიზიის შტაბი. ხელთ ვიგდეთ შტაბის დოკუმენტები და სხვა დაცვა.

* * *

ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ პლაცდარმების გასაფართოებლად. ქალაქ ქერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით საბჭოთა მებრძოლებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. მოსპობილია მტრის 700 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ ერთი საარტილერიო და ორი სანაღმმტყორცნო ბატარია, საომარი მასალის საწყობი და სხვა დაცვა. წამოყენილია ტყვეები. ქალაქ ქერჩის სამხრეთით სწარმოებდა საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლა მტრის წინააღმდეგ.

* * *

რეჩიცის სამხრეთით, დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენმა ნაწილებმა საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მიიტანეს მტერზე და. გასტეხეს ხა მისი წინააღმდეგობა. დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. გერმანელებმა ძლიერ გაამაგრეს ეს დასახლებული პუნქტები, მაგრამ ჩვენი ჯარების დარტყმების გამო დიდი ზარალი მოუვიდათ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში „მოწინააღმდეგემ 2.000-ზე მეტი ოფიცერი და ჯარისკაცი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით. მოსპობილია 12 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარია, დაზიანებულია 5 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დაცვა, მათ შორის 53 ქვემეხი, 13 ნაღმსატყორცნი, 102 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე საწყობი სომარ მასალიანად. წამოყენილია მნიშვნელოვანი რაოდენობის ტყვეები.

* * *

ნეველის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ერთ უბანზე გერმანელები ქვეითი ჯარის დიდი ძალებით, ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების დახმარებით ცდილობდნენ საბჭოთა ნაწილების წინსვლის შეჩერებას, დღის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის 12 კონტრიერიში მოიგერიეს და მძიმე ზარალი მიაყენეს მას. ამ ბრძოლაში გაელეტილია 1.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია 18 ტანკი და „ფერდინანდის“ ტიპის 4 თვითმავალი ქვემეხი. წამოღებულია დაცვა, მათ შორის 28 ქვემეხი. სხვა რაიონში 5 შენაერთის ნაწილებმა, რომელნიც ბრძოლებით მიწყვედნენ წინ, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაზიანებულია 9 მძიმე ტანკი და მოსპობილია გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ფინეთის ყურეში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრალერი და ტრანსპორტი 1.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

კალინინის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს ერთ დასახლებულ პუნქტში. პარტიზანებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე ყოველი მხრიდან და გაელეტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. ხელთ იგდეს 11 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, რადიოსადგური, 60 შაშხანა და ბევრი ვაზნა. კალინინელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ორი კვირის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა 8 საშენდრო ეშელონი. მარტის შუადღეად დაიმსხვრა 6 ორთქლმავალი და 50-მდე ვაგონი მოწინააღმდეგის სამხედრო ტვირთიანად.

* * *

დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ტყვედ ჩავიგდეთ გერმანელთა 24-ე სატანკო დივიზიის ჯარისკაცთა ჯგუფი. ტყვედ წამოყვანილმა გრენადერთა 26-ე მოტორიზებული პოლკის მოტომსროლელი ესკადრონის ობერ-ეფრეიტორმა ვილი კულეკმა განაცხადა: „24-ე სატანკო დივიზია გერმანელთა მე-6 არმიის შემადგენლობაში შედიოდა და მთლიანად მოსპობილ იქნა სტალინგრადთან. ამა წლის გაზაფხულზე საფრანგეთში დაიწყო ახალი სატანკო დივიზიის შედგენა ძველი ნომრით. ზაფხულში დივიზია გაიგზავნა იტალიაში, ქალაქ ბოლონიაში. 10 ოქტომბერს დივიზია მთელი შემადგენლობით ეშელონებში ჩასხეს და სასწრაფოდ გამოგზავნეს რუსეთში. ჩვენ ვიმგზავრეთ შემდეგი მარშრუტით: ბოლონია-პრაღა-ბრესლავლი-პოლონეთი და 20 ოქტომბერს ოდესაში მოვედით. ოდესიდან დივიზია კიროვოგრადში გამოგზავნეს, საიდან კი ფრონტის მიჩენილ უბანზე. ჩვენ ამოცანად დაგვისახეს—მოგვეწყვიტა რუსთა ჯარები და მოგვესპო ისინი, ნაშთები ეი დნეპრს გამოვმა გამოგვიერეკა. მაგრამ პირველმავე ბრძოლებმა მწარედ გაგვიცრუეს იმედი. ჩვენ საშინელი ზარალი ვნახეთ, მაგრამ ვერავითარ წარმატებას ვერ მივაღწიეთ“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი ფერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ სმოლენსკის ოლქის სოფელ პავლოვოში ჩადენილი მხეცობათა შესახებ: „ოკუპაციის დროს გერმანელმა დამპყრობლებმა გაძარცვეს კოლმეურნეობა „ნოვაია ეიზნი“. ჰიტლერელებმა წაიყვანეს მთელი საქონელი, წაიღეს სურსათი, ააოხრეს კოლმეურნეობის საფუტკრე, დაიტაცეს და მოსპეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. უკან იხევდნენ რა საბჭოთა ჯარების დარტყმების გამო, გერმანელებმა დასწვეს 40 საცხოვრებელი სახლი ეზოს შენობებიანად და გლეხთა ქონებიანად. კოლმეურნე თეოდოსია ჩერნენკოვა ფაშისტმა მტარვალებმა ცოცხლივ დასწვეს. ჰიტლერელები ცდილობდნენ ძალით გაეერეკათ სოფლის ჯელა მცხოვრებნი გერმანელთა ზურგში. მოგვისწრეს წითელი არმიის მებრძოლებმა, გავგვთავისუფლეს და გვიხსნეს ფაშისტური მონობისაგან“.

აქეს ხელს აწერენ: კოლმეურნეობა „ნოვაია ეიზნის“ თავმჯდომარე მარიამ ანნეაროვა, კოლმეურნეები სერგი პეტროკოვი, იეგორ ანანეროვი, მაკარ ანანეროვი და სხვები.

ბელადის ბრძანებიდან

გამარჯვებას უბრძოლველად და დაუძაბავად ვერ მოიპოვებ. მისი მოპოვება ბრძოლით ხდება. ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე.

ი. სტალინი

მის აღმავლობას მარშალ სტალინს, საბჭოთა არმიების მთავარსარდალს

მოსკოვი.

მამაცი წითელი არმიის მიერ კიევის დაკავების ამბავი მე სიხარულით აღმაესება, და მთელი ირანი ფულით მონაწილეობს სსრ კავშირის ხალხთა ზეიმში. ამ შესანიშნავი წარმატებისა და საბჭოთა ჯარების სწრაფი შეტევის გამო ვჩქარობ ჩემი მხურვალე მოლოცვა მივუძღვნა თქვენს აღმატებულებას, იმას, ვინც გამარჯვების არქიტექტორია. მე მხურვალედ მსურს მალე დაგვირგვინდეს ეს ბრწყინვალე კამპანია, რომელიც განდევნის ბრწყინვალე ჯარებს დიდი მეგობრისა და ჭოკავშირის ტერიტორიიდან. სწორედ თქვენს აღმატებულებას უნდა უმადლოდეს სსრ კავშირი თავის ბრწყინალე ტრიუმფს.

მოსაამედ რეზა ფეხლევი

მოსკოვი. კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ოქტომბრის რევოლუციის 26 წლისთავთან დაკავშირებით მე მუსლიმანთა სახელით გულითად მოლოცვასა და სალამს გიძღვნიან თქვენ. მუსლიმანთა სამყარო თქვენ გიცნობთ, როგორც ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის მებრძოლს და ხალხთა საჭირეთათადმი გულისხმიერს. მორწმუნე მუსლიმანები, რომელთაც სურთ დაეხმარონ სახელოვან წითელ არმიას, ხალისით გამოეხმაურნენ ჩემს მოწოდებას სატანკო კოლონის ასაგებად სახსრების შეგროვების შესახებ. სულ შეგროვებულია 10 მილიონამდე მანეთი და, გარდა ამისა, დიდძალი ნივთი.

კეკედრები ალაჰს და გულწრფელად ვისურვებ თქვენი ხელმძღვანელობით მტრის ადრე და მალე დამარცხებას და გერმანელ ნაცისტთა ტირანიისაგან მთელი კაცობრიობისა და მუსლიმანთა სამყაროს განთავისუფლებას.

შეგეწიოთ თქვენ ალაჰი ჩაგრულ ხალხთა განსათავისუფლებლად თქვენი სახელოვანი მუშაობის ძლევამოსილად დაგვირგვინებაში. ამინ!

მუსლიმანთა ცენტრალური სასულიერო სამმართველოს მუფთი.

მ. ი. კალინინს,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

სსრ კავშირის ნაციონალური დღესასწაულის გამო ბედნიერი ვარ გულწრფელად ვუსურვო თქვენს აღმატებულებას თქვენი ქვეყნის სიდიადე და აყვავება.

მოსამედ ზაჰირი,
ავღანეთის მეფე

უზსოელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მისალმებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან დაკავშირებით ამხანაგ კალინინის სახელზე მიღებულია მოლოცვები ელინთა მეფის გეორგ II-ისა და ავღანეთის მეფის მოჰამედ ზაჰირისაგან.

ამხანაგ სტალინის სახელზე მიღებულია მოლოცვის დეპეშები იუგოსლავიის მთავრობის თავმჯდომარე პურიჩისა და ელინოა მთავრობის თავმჯდომარე ცუდეროსისაგან.

ამხანაგ მოლოტოვის სახელზე მიღებულია მოლოცვები ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რიპკასაგან, ინგლისისა და ამერიკის კორესპონდენტთა კავშირისაგან სსრ კავშირში.

მიღებულია აგრეთვე მომართვა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ფრეზერისაგან. (საკდესი).

ამხანაგ სტალინის მოხსენების 5 მილიონი ეგზემპლარი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე გამოცემად გამოუშვა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავის შესახებ მრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომაზე 1943 წლის 6 ნოემბერს და უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 7 ნოემბრის № 309 ბრძანება.

ბროშურის პირველ გვერდზე მოთავსებულია საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის პორტრეტი. ბროშურის ტირაჟია ხუთი მილიონი ეგზემპლარი (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმმა ამხ. ივანე ნიკოლოზის-ძე პაკულინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ავღანეთში.

ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება და ბრძანება

ბიბლიოთეკა

ი. სტალინი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

10 ნოემბრის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრები ივანკოვი, ბრეგინოწკი, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის როსოხა, კარპილოვკა, კოვალიოვკა, კონაია ვიდუმკა, დიმანოვკა, რუსაკი, ფედოროვკა, სუკაჩი, იასნოვკა, რასკა, პესკოვკა, მაიდანოვკა, ზაბუიანიე, კომაროვკა, რაევკა, რაკოვიჩი, სტავიშჩე, ვისოკოე, ლაზარევკა, დუბროვკა, ხოვუტეცი, ვილუკა, დედოვშჩინა, ვეპრიკი, პინჩუკი, სტეპანოვკა, მაკეევკა, ვასილევო, ჩერნიასოვი, მიროვკა.

ძერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად წინანდელ რაიონებში და გაიუმჯობესეს პოზიციები.

ქალაქ ნეველის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

9 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 53 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 12 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 6 შენაერთის მებრძოლებმა ბრძოლით გადალახეს მდინარე ტეტერევი და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი ივანკოვი. ამავე რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მდინარესთან მიიმწყვდიეს და გაანადგურეს ჰიტლერელთა ჯგუფი 1.500-მდე კაცის რაოდენობით. ხელთ ეიგდეთ 30 ქვემეხი და დიდი ალალი სამხედრო ტვირთიანად. 6 ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 12 ვარგისი ტანკი, 8 თვითმავალი ქვემეხი, ჯავშნიანი მატარებელი, 20 ტრაქტორი და 75 ავტომანქანა, 40 ვაგონი სურსათიანად, საომარი მასალის საწყობი, ქიმიური ჭურვების საწყობი და რადიოქონძების საწყობი. უკანდახევისას გერმანელებმა ააფეთქეს თავიანთი 19 ტანკი და 8 თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე საბჭოთა ნაწილებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს რაიონული ცენტრი გრებინკი და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. მოსპობილია 2.000-მდე ჰიტლერელი, 25 ტანკი, 40 ქვემეხი, 50 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და მტრის დიდი სამხედრო საწყობები.

* * *

ძერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად. ქალ. ძერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით საბჭოთა ქვეგანაყოფებმა იერიშით მიიტანეს მტერზე და გაფთრებული ბრძოლის შედეგად დაიკავეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით ვვამი. წამოღებულია ადგილ და წამოყვანილია ტყვეები. ქალ. ძერჩის სამხრეთით მტერი ცდილობდა ხელი შეეშალა ჩვენი ჯარებისათვის ძერჩის სრუტეზე გადასვლაში. 6 ნაწილის არტილერისტებმა ჩასძირეს 2 ტორპედოსანი კატერი. გარდა ამისა, ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მტრის საგუშაგო კატერი და ჩქარმავალი სადესანტო კარჭაპი.

* * *

ნეველის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს. 6 შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მტრის დანაღმული მინდვრები და მავთულხლართიანი დაბრკოლებანი, წინ წაიწიეს და დაიკავეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი. გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების წინსვლა და ხოთოჯერ მოიტანეს კონტრიერიში. ჩვენმა მებრძოლებმა წარმატებით მოიგერიეს მტრის ყველა კონტრიერიში და ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა აღკვეთეს გერმანელთა ცდა დაებრუნებინათ ამასწინათ დაკარგული პოზიციები. ჰიტლერელებს ყველა საზეობის იარაღის ცეცხლით დახვდნენ, მათ უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 600-ზე მეტი გვამი და 6 დაზიანებული ტანკი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დაცლა.

* * *

წითელი არმიის XXIV წლისთავის საპატივცემულოდ უკრაინული პარტიზანული რაზმის მებრძოლებმა ბრძოლით გადალახეს მდინარე პრიპიატი. 6 შენაერთის მებრძოლებმა ბრძოლით გადალახეს მდინარე ტეტერევი და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი ივანკოვი. ამავე რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მდინარესთან მიიმწყვდიეს და გაანადგურეს ჰიტლერელთა ჯგუფი 1.500-მდე კაცის რაოდენობით. ხელთ ეიგდეთ 30 ქვემეხი და დიდი ალალი სამხედრო ტვირთიანად. 6 ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 12 ვარგისი ტანკი, 8 თვითმავალი ქვემეხი, ჯავშნიანი მატარებელი, 20 ტრაქტორი და 75 ავტომანქანა, 40 ვაგონი სურსათიანად, საომარი მასალის საწყობი, ქიმიური ჭურვების საწყობი და რადიოქონძების საწყობი. უკანდახევისას გერმანელებმა ააფეთქეს თავიანთი 19 ტანკი და 8 თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე საბჭოთა ნაწილებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს რაიონული ცენტრი გრებინკი და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. მოსპობილია 2.000-მდე ჰიტლერელი, 25 ტანკი, 40 ქვემეხი, 50 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და მტრის დიდი სამხედრო საწყობები.

* * *

ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად. ქალ. ქერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით საბჭოთა ქვეგანაყოფებმა იერიშით მიიტანეს მტერზე და გაფთრებული ბრძოლის შედეგად დაიკავეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით ვვამი. წამოღებულია დაცლა და წამოყვანილია ტყვეები. ქალ. ქერჩის სამხრეთით მტერი ცდილობდა ხელი შეეშალა ჩვენი ჯარებისათვის ქერჩის სრუტეზე გადასვლაში. 6 ნაწილის არტილერისტებმა ჩასძირეს 2 ტორპედოსანი კატერი. გარდა ამისა, ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მტრის საგუშაგო კატერი და ჩქარმავალი სადესანტო კარჭაპი.

* * *

ნეველის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს. 6 შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მტრის დანაღმული მინდვრები და მავთულხლართიანი დაბრკოლებანი, წინ წაიწიეს და დაიკავეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი. გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების წინსვლა და ხოთოჯერ მოიტანეს კონტრიერიში. ჩვენმა მებრძოლებმა წარმატებით მოიგერიეს მტრის ყველა კონტრიერიში და ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა აღკვეთეს გერმანელთა ცდა დაებრუნებინათ ამასწინათ დაკარგული პოზიციები. ჰიტლერელებს ყველა საზეობის იარაღის ცეცხლით დახვდნენ, მათ უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 600-ზე მეტი გვამი და 6 დაზიანებული ტანკი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დაცლა.

* * *

წითელი არმიის XXIV წლისთავის საპატივცემულოდ უკრაინული პარტიზანული რაზმის მებრძოლებმა გადალახეს მდინარე პრიპიატი.

ოდენობა წითელი არმიის მიერ გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წ. 12 ივლისიდან 5 ნოემბრამდე განთავისუფლებული ტერიტორიისა

რუზველტის გამოსვლა

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტოს კაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს პრეზიდენტმა რუზველტმა რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა გაერთიანებულ ერთა დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაციის (შემოკლებულად იმრრა) შექმნის შესახებ შეთანხმების ხელისმოწერის გამო. ამ სიტყვაში რუზველტმა განაცხადა:

„აქ, თეთრ სახლში, აღმოსავლეთის ისტორიულ ოთახში მაგიდას უსხედან გაერთიანებული და მათთან შეერთებული ორმოცდაოთხი ერის წარმომადგენელნი. ამ 44 ერის ხალხები, რომელნიც კაცობრიობის 80 პროცენტს წარმოადგენენ, ამჟამად გაერთიანებული არიან ცივილიზაციის საქმისადმი საერთო ერთგულებით და საერთო გადაწყვეტილებით — ააგონ პატიოსნებასა, უშიშროებასა და მშვიდობიანობაზე დამყარებული მომავალი მსოფლიო. ამ 44 ერის წარმომადგენელებმა ეს-ეს არის ხელი მოაწერეს გაერთიანებულ ერთა დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაციის შექმნის შესახებ შეთანხმებას, ადმინისტრაციისა, რომელიც ცნობილია, როგორც იმრრა. ეს ადმინისტრაცია ხელს შეუწყობს ზოგიერთ მაღალ მიზანთა პრაქტიკულ განხორციელებას, რომელთაც შეიცავს გაერთიანებულ ერთა 1942 წლის 1 იანვრის დეკლარაცია“.

„მუშაობა, რომლის შესრულებაც იმრრას მოელის,—განაცხადა რუზველტმა, — სასწრაფო და გადაუდებელია“. „იმრრას უპირველესი ამოცანა იქნება უზრუნველჰყოს სურსათის არსებული რესურსების სამართლიანი განაწილება ყველა განთავისუფლებულ ერთა შორის და, მეორე რიგში, თავიდან აგვაცილოს შიმშილითა და გაჭირვებით სიკვდილი მოსახლეობაში“. „შემდეგი ლონისძიება, რომელიც გაერთიანებულ ერთა ერთობლივ ოპერაციებს მოითხოვს,—განაგრძო მან,—არის გადაწყვეტა განთავისუფლებული რაიონების მომარაგების პრობლემისა გაერთიანებული ერების ერთობლივი მოქმედების, და არა მხოლოდ ორი ერის თანამშრომლობის, ბაზაზე“.

დასასრულ რუზველტმა აღნიშნა: „ხვალ იმრრა სხნის თავის პირველ კონფერენციას და გადასდგამს პირველ გაბედულ ნაბიჯებს გაჭირვებისაგან თავისუფლების პრინციპის პრაქტიკული და ქმედითი განხორციელებისათვის. გაერთიანებულ ერთა ჯარები წინ მიიწევენ, და გაერთიანებულ ერთა ხალხები მათთან ერთად მიდიან“.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის კონგრესი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი (საკადესი). 7 და 8 ნოემბერს ნიუ-იორკში შესდგა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის კონგრესის სესია, რომელსაც დაესწრო პროფკავშირების, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციების 800-ზე მეტი დელეგატი. სესიის მონაწილენი მიესალმნენ დიდ მოკავშირეს სსრ კავშირს, ამბანაგ სტალინს და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელთ, საბჭოთა ხალხსა და წითელ არმიას. დელეგატებმა მოიწონეს საგარეო საქმეთა სამი მინისტრის მოსკოვის კონფერენციის დეკლარაციები და ვალდებულება იკისრეს გააკეთონო „ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს“ მოღვაწეობა. „სსრ კავშირმა,—ნათქვამია კონგრესის რეზოლუციაში,—მოაახლოვა მტერზე სრული გამარჯვების დღე და ხელი შეუწყო მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ურღვევი კავშირის შექმნას“.

კონგრესის დასასრულს 8 ნოემბერს საღამოს მედისონ-სკვერ-გარდენში გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წარმოების საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარემ ნელსონმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა იკესმა, სენატორმა პეპერმა, ყოფილმა ელჩმა სსრ კავშირში დეტლმა, ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა და სხვებმა. კონგრესმა მიიღო მისალმება ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ უოლესისა, სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტეტინიუსისა, წარმომადგენლთა პალატის თავმჯდომარე რეიბერნისა, ზანგთა უნივერსიტეტის რექტორ ჯონსონისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებისაგან, აგრეთვე კუბის პრეზიდენტ ბატისტასაგან.

იდენი ინგლისში დაბრუნდა

ლონდონი, 10 ნოემბერი. (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტონი იდენი ინგლისში დაბრუნდა.

ჩერჩილისა და რუზველტის ერთობლივი განცხადება მტრის წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის მსვლელობის შესახებ

ლონდონი, 10 ნოემბერი. (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ლონდონსა და ვაშინგტონში დღეს გამოქვეყნებულია ჩერჩილისა და რუზველტის ერთობლივი განცხადება წყალქვეშა ომის შესახებ.

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში, ნათქვამია ამ განცხადებაში. ჩაძირულია მტრის 150-ზე მეტი წყალქვეშა ნავი.

აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში უფრო მეტი წყალქვეშა ნავია მოსპობილი, ვიდრე მტერმა მოკავშირეთა საკაჭრო გემები ჩასძირა. ამ მხრივ ოქტომბერი ყველაზე უფრო ხელსაყრელი თვე იყო ომის მთელ განმავლობაში. მოკავშირეთა ტონაჟის დანაკლისი ოქტომბერში ყველაზე უფრო მცირე იყო ომის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები იყენებენ ახალ შეიარაღებას წყალქვეშა ნავებისათვის და ახალ ტაქტიკას, მოკავშირეთა მონაოსნე სავაჭრო გემების რიცხვი გადიდდა. განცხადებაში ნათქვამია: „ბრძოლა მთელი ძალით გრძელდება“.

მტრის 150 წყალქვეშა ნავის მოსპობა, ხაზგასმით არის აღნიშნული განცხადებაში, მოასწავებს აგრეთვე მათი ეკიპაჟების 6.000 წევრის დაღუპვას 6 თვის განმავლობაში.

წარსული ომის 4 წლის განმავლობაში მოკავშირეებმა ჩასძირეს მარტო 37 წყალქვეშა ნავი, მაშინ როცა ახლანდელი ომის 4 წლის განმავლობაში უკვე მოსპობილია მტრის 700 ან 800 ნავი.

ჩერჩილის გამოსვლა ლონდონის ლორდ-მერთან გამართულ ბანკეტზე

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკადესი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, რომ ჩერჩილმა დღეს სიტყვა წარმოსთქვა ლონდონის ლორდ-მერის მიერ გამართულ ბანკეტზე.

„მას შემდეგ, რაც ჩვენ აქ უკანასკნელად შევიკრიბეთ, — სთქვა მან, — ჩვენ და ჩვენმა მოკავშირეებმა ყველა ასპარეზზე და ყველა ფრონტზე თითქმის განუწყვეტელ გამარჯვებათა წელი განვიცადეთ“. ჩერჩილმა მიმოხილა გაუკეთა ინგლისის, დომინიონრებისა და ამერიკის შეერთებული შტატების საომარ ღონისძიებებს და განაგრძო:

„მაგრამ ვაცხადებ დ, რა თქმა უნდა, მოხარული ვარ განვაცხადო, რომ ამ შესანიშნავი წლის დიდებული მოვლენა იყო რუსეთის არმიის სახელოვანი შეტევა ვოლგიდან დასავლეთისაკენ, დნეპრზე გადასვლით, რის შედეგადაც, როგორც ჩვენ მარშალმა სტალინმა გვითხრა, საზიზღარი დამპყრობელისაგან განთავისუფლებულია რუსეთის ოკუპირებული მიწა-წყლის $^2/_3$. ამ შეტევის პროცესში რუსეთის, საბჭოთა არმიებმა მძლავრად და საშინლად დაარტყეს გერმანიის სამხედრო ძალიერების თვით სასიცოცხლო საფუძველსა და სისტემას. გერმანიის ძალიერებისა და ტირანიის ეს ოდესღაც შემზარავი ეტლი მოშლილი და დამტვრეული, დაძლეული ბრძოლაში, მანეგრში რუსთა სიმამაცით, სარდლობის ოსტატობითა და მეცნიერებით, და საესებით შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ იგი საბოლოოდ დამსხვრეულია. ჩვენ და ჩვენმა ამერიკელმა მოკავშირეებმა გავაკეთეთ და ვაკეთებთ ყველაფერს, რაც კი ძალგვიძს, რათა ჩვენი ჯარები გადავისროლოთ ზღვებსა და ოკეანეებზე, ავამოქმედოთ ისინი მტრის წინააღმდეგ, და მე ინგლის-ამერიკის საჰაერო ომი გერმანიის წინააღმდეგ ნიშანია ჰიტლერული რეჟიმის მზარდი ნგრევის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. მაგრამ არასოდეს არ შეიძლება იმის დაივიწყება, რომ მთელ მსოფლიოში არ ყოფილა შექმნილი და არც შეიძლებოდა შექმნილი ყოფილიყო რამდენიმე წლის განმავლობაში ისეთი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც როდისღაც დაარტყამდა ისე, როგორც დაარტყა რუსეთმა, ან გაუძლებდა ზარალს, რაც რუსეთს მოუვიდა. აქ, ქალაქ ლონდონში, ჩვენს ტრადიციულ დღესასწაულზე ჩვენ მივესალმებით საბჭოთა ჯარებსა და მარშალ სტალინს“.

შეჩერდა რა მოსკოვის კონფერენციის შედეგებზე, ჩერჩილმა განაცხადა:

„ჩვენ ყველას გვახარებს მოსკოვის კონფერენციის შედეგები“. „იქვე არ არის, — სთქვა მან, — რომ საგარეო საქმეთა სამინისტრის ამომწურავმა და გულახდილმა მოლაპარაკებამ ჩვენს რუს მეგობრებს საშუალება მისცა შეეცნონ იმდენად, რამდენად მათ წინათ არასოდეს არ ჰქონდათ შეცნობილი, რომ ბრიტანეთისა და ამერიკის ხალხები მთელი გულით მიისწრაფვიან ლიაილურ კავშირში დაამთავრონ ომი, ხოლო ამის შემდეგ—ითანამშრომლონ მათთან ერთიერთი პატივისცემისა და ამხანაგობის საფუძველზე ამ განაწამები და სასოწარკვეთილი მსოფლიოს გადასაკეთებლად და გამდასაქმელად. მე არ დამიკარგავს იმედი, რომ რაღაცმე შესაძლებელი გახდება სამი მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა, რადგან ახლანდელ ომში ჩემ მიერ მიღებული მთელი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა მეგობრული და ნდობით აღსავსე პირადი კონტაქტი როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის ყველა გეგმის საუკეთესო საფუძველია“.

შეეხო რა ომის ხანგრძლივობასა და მისი დამთავრების ვადების საკითხს, ჩერჩილმა აღნიშნა: „ჩვენ გაკიცხვის ღირსნი ვიყოფოდით, თუ დავუშვებდით, რომ ჩვენი ბრძოლები და მოქმედება გერმანიის სწრაფი კრახის პერსპექტივაზე იყოს დამყარებული“.

„თვითონ მე, — დასძინა ჩერჩილმა, — ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობ, რომ 1944 წლის კამპანია ევროპაში ყველაზე უფრო სასტიკი იქნება, ხოლო დასავლეთელი მოკავშირეებისაგან ადამიანთა ყველაზე მეტ მსხვერპლს მოითხოვს იმასთან შედარებით, რაც ჩვენ დღემდე გვქონია“.

საომარი მოქმედება ინდოეთში

ლონდონი, 10 ნოემბერი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის მერვე არმიის ნაწილებმა წინ წაიწიეს მთელ რიგ უბნებზე. ამერიკის მეზუთე არმიის მოქმედება გაძნელებული იყო ცუდი ამინდის გამო. მტერი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა. მოგერიებულ იქნა მისი მთელი რიგი კონტრიერიშები.

პასუხისმგებელი რედაქტორის
მოადგილე ბ. ჯიბლაძე

მამა ნიკოლოზ, მეუღლე ნინა, შვილები მერი და ბიჭიკო, ძმა გურანა იუწყებიან, რომ 14/XI, 2 ს., ვერის ძველ სასაფლაოზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი
ალექსი ნიკოლოზის-ძე საჯაიას
გარდაცვალებიდან წლისთავის აღსანიშნავად.

გუგული ბუაძე შვილებით იუწყება, რომ 14/XI, 2 ს., ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
სერგო ილიას-ძე ბუაძის
სამოქალაქო პანაშვიდი.

დედა სოფიო, მეუღლე მარო, შვილები ზაია და მედეა, ძმები რაფდენ, ძაღული, ვრეშა, ანნო, მამია, დები სონია, ანიკო და ნინა იუწყებიან, რომ 14/XI, 2 ს., ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ანდრო სიმონის-ძე ზუდელავას
გარდაცვალებიდან წლისთავის აღსანიშნავად.

საბჭოთა ბირეული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ინფორმაციის ბიურო
10 ნოემბრის ოპერაციული ცნობა
ოდენობა წითელი არმიის მიერ გერმანელთა ოკუპაციისაგან 1943 წ. 12 ივლისიდან 5 ნოემბრამდე განთავისუფლებული ტერიტორიისა
ჩერჩილის გამოსვლა ლონდონის ლორდ-მერთან გამართულ ბანკეტზე
ბ. ჯიბლაძე

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.